საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს განვითარების კონცეფცია:

1. პროდიუსინგის ინსტიტუტის შექმნა რეგიონში და განვითარებისთვის ხელშეწყობა. არსებული ბიუჯეტის მიზნობრივი განკარგვა და მეტი ხარისხიანი ტელე და რადიო პროდუქტის შექმნა.
2. შიდა სატელევიზიო და რადიო პროდუქტების წარმოების გაზრდა, მათ შორის სოციალური, ეკონომიკური, ისტორიული, სპორტული, ტურისტული, რელიგიური, ეთნიკური, გენდერული და სხვა პროექტების განხორციელება.
3. ევროკავშირ-საქართველოს ასოცირების შეთანხმებით საქართველოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობის მონიტორინგი და გაშუქება.
4. რეგიონის ღვაწლმოსილი ადამიანების დაფასების მიზნით სატელევიზიო და რადიოპროდუქტების შექმნა.
5. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა გადამზადება და ჩართვა სარედაქციო საქმიანობის ყველა კომპონენტში.
6. ძლიერი საგამოძიებო ჟურნალისტური გუნდის ჩამოყალიბება და ამ კუთხით ჩეხეთის საზოგადოებრივი მაუწყებლის გამოცდილების გამოყენება (სტაჟირება, ჩეხი ჟურნალისტების მოწვევა, ტრენინგები და სხვა)
7. საგანმანათლებლო სახის გადაცემების მომზადება გაეროს მდგრადი განვითარების გლობალურ მიზნებზე და ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნულ სტრატეგიაზე
8. რადიოსა და ტელევიზიის საეთერო ბადეში საზოგადოების ჩართულობის გაზრდა, სხვადასხვა მიმდინარე საკითხზე მოსახლეობის აზრის გაშუქება (მეტი რიგითი მოქალაქე ეკრანზე), ინტერაქტიული ჩართულობის უზრუნველყოფა სხვადასხვა ტექნიკური საშუალებით, მოსახლეობის მოთხოვნებისა და სურვილების გასაზიარებლად უკუკავშირის მექანიზმის შექმნა.
9. მოზარდი თაობის პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდის მიზნით სხვადასხვა დოკუმენტური ფილმების შექმნა მათივე უშუალო ჩართულობით.
10. ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია წარმატებული სპორტსმენების მაგალითებზე.
11. საზღვაო თემატიკის პოპულარიზაცია.

ჯემალ მეგრელიძე